განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ქიმიური ექსპერტიზა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ -სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 29 მარტი 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმიური ექსპერტიზა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ქიმიური ექსპერტიზის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120 (ECTS) კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ტიტვინიძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელა ქელბაქიანი, ქუთაისის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ქიმიური ექსპერტიზა მომზადებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - სსუ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების პერსონალის მიერ. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ორწლიანია და მოიცავს 120 კრედიტს. აქედან 84 - სასწავლო კომპონენტია, 6 - პროფესიული პრაქტიკა და 30 - სამეცნიერო. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, გამონაკლისის სახით ერთი საგანი იკითხება ინგლისურ ენაზე.
პროგრამა მიზნად ისახავს კვების პროდუქტების, ძვირფასი ქვების და მინერალების, ნავთობპროდუქტების, პოლიმერული და კონსტრუქციული მასალების, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ქიმიკოს ექსპერტის მომზადებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დასახელების უცხოური სამაგისტრო პროგრამების მოძიება შეუძლებელია, შინაარსობრივად ახლოს მდგომი პროგრამები (მაგ. სასამართლო ქიმია) კი ბევრად ვიწროპროფილურია.
პროგრამის განხორციელება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზის გარდა იგეგმება თსუ-ს პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან არსებულ სურსათის კვლევის დეპარტამენტის ლაბორატორიაში და ილია ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში. სამივე უნივერსიტეტთან სსუ-ს დადებული აქვს მემორანდუმი და აღნიშნული ინსტიტუციების თანამშრომლები ჩართული არიან სასწავლო პროცესში მოწვეული აკადემიური პერსონალის სახით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსუ-ში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 29 მარტს (09:30-19:00) და დაგეგმილი განრიგის შესაბამისად წარიმართა. ჯგუფში შედიოდა სამი ექსპერტი (გიორგი ტიტვინიძე, ლელა ქელბაქიანი და ანი ბილანიშვილი) ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან, მომიჯნავე პროგრამის (მიკრობიოლოგია) მოქმედ მაგისტრანტებთან და კურსდამთავრებულებთან.
ვიზიტის ფარგლებში მოხდა როგორც სსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა) დათვალიერება, ასევე პროგრამაში ჩართული სამი ინსტიტუციის (1. თსუ-ს პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, 2. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან არსებული სურსათის კვლევის დეპარტამენტის ლაბორატორია და 3. ილია ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი) იმ ლაბორატორიების დათვალიერება, სადაც იგეგმება წარმოდგენილი პროგრამის მაგისტრანტების სწავლება და სამაგისტრო ნაშრომების შესრულება. ვიზიტმა ჩაიარა სამუშაო ატმოსფეროში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან იყო ხელშეწყობა და მზაობა ვიზიტის სრულყოფილად განსახორციელებლად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამა ხუთიდან ერთ სტანდარტს შეესაბამება, ორ სტანდარტს შეესაბამება მეტწილად და ორს ნაწილობრივ, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - *ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.*

1.1. პროგრამის მიზნები - ნაწილობრივ.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - ნაწილობრივ.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - *ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.*

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - ნაწილობრივ.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - მეტწილად.

2.3. სასწავლო კურსი - ნაწილობრივ.

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია.

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია.

2.6. სტუდენტების შეფასება - მეტწილად.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.*

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია.

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - შესაბამისობაშია.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.*

4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - მეტწილად.

4.3 მატერიალური რესურსი - მეტწილად.

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - მეტწილად.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.*

5.1 შიდა ხარისხის შეფასება - მეტწილად.

5.2 გარე ხარისხის შეფასება - მეტწილად.

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია.

ყოველი შეუსაბამობის გამოვლენის და აღწერისას დასკვნაში მითითებულია შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები.

- **რეკომენდაციები**

1. საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი უნდა გახდეს უფრო ვიწრო. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს რამდენიმე სხვადასხვა პროფილის (კვების პროდუქტების, ძვირფასი ქვების და მინერალების, ნავთობპროდუქტების, პოლიმერული

და კონსტრუქციული მასალების, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ექსპერტიზის მიმართულებით) სპეციალისტების მომზადებას, რისი სათანადო დონეზე მიღწევაც ჩვენი აზრით შეუძლებელია ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში არასათანადო საგნობრივი და საათობრივი დატვირთვების გამო.

აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროგრამის უცხოური ანალოგები, რეალურად განსხვავდება დასახელებით, სტრუქტურით და არ გულისხმობს ერთდროულად ამდენი სხვადასხვა პროფილის ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში ღრმად სწავლებას.

2. მემორანდუმების განახლება, სადაც ასახული იქნება ახალი პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა.

   მაგ. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში საუბარია, რომ ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა განხორციელდება ეკოლოგიის მიმართულებით, თუმცა ნახსენები არ არის თანამშრომლობა წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის (ქიმიური ექსპერტიზა) ფარგლებში, რაც მემორანდუმის მიხედვით უნდა ასახულიყო („ყოველ ცალკეულ პროექტთან დაკავშირებით დაიდება კონკრეტული შეთანხმებები“). აღსანიშნავია, რომ ვიზიტისას აღნიშნული ინსტიტუციის წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა მემორანდუმის განახლების და დააფიქსირა წარმოდგენილ პროგრამაში შემდგომი თანამშრომლობის ინტერესი.
   მემორანდუმი ილია ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტთან არ მოიცავს თანამშრომლობის ფორმებს, სასურველია დამატებულ იქნას მემორანდუმში ან დამატებითი ხელშეკრულების სახით. აქაც, როგორც პირველ შემთხვევაში, ინსტიტუციის მხრიდან გამოთქმულ იქნა პროგრამის სრული მხარდაჭერა.

3. ბაზრის ანალიზის სიღრმისეული კვლევა, რაც უნდა მოხდეს შესაბამისი ფოკუს-ჯგუფების შერჩევით და რელევანტური კითხვარების შემუშავებით.
   გასაუმჯობესებელია დამსაქმებლის ჩართულობა პროგრამის შეფასებაში. წარმოდგენილი 3 დამსაქმებლიდან, 2 ჩართულია სწავლების პროცესში, რამაც ჩვენი აზრით შეიძლება გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი.

4. თეორიული საფუძვლების დამატება რამდენიმე მიმართულებით: ინსტრუმენტული ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები, ფიზიკური ქიმია, პოლიმერების ფიზიკური ქიმია და მასალათმცოდნეობის საფუძვლები (აღნიშნული საგნის კომბინირება შესაძლებელია მოხდეს პოლიმერების ფიზიკურ ქიმიასთან).

5. აქვე აღსანიშნავია, რომ სავარაუდო მისაღები საგამოცდო საკითხები წარმოდგენილ იქნა ვიზიტის მიმდინარეობისას, აღნიშნული საკითხები არ ფარავს სრულად იმ საჭირო

მინიმალურ კომპეტენციებს, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მაგისტრმა შეძლოს პროგრამით გათვალისწინებული საგნების ათვისება.

6. სწავლებაში ანალიზის მნიშვნელოვანი კლასიკური და თანამედროვე მეთოდების წილის გაზრდა (მაგ. ბირთვულ მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპია, იონური ქრომატოგრაფია, რენტგენოსტრუქტურული ანალიზი, ა.შ.).

7. პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების შეფასების ნაწილში მინიმალური კომპეტენციის ასახვა.

8. ზოგიერთი სილაბუსის გადახედვა და კორექტირება (ზოგიერთი სილაბუსი არის საკმაოდ დატვირთული და გამოყოფილ დროსთან შეუსაბამო, ასევე ზოგიერთი სილაბუსი საჭიროებს მითითებული ლიტერატურის განახლებას).

9. ზოგიერთი აუცილებელი ლიტერატურა ხელმისაწვდომია მხოლოდ აკადემიური პერსონალის პირად ბიბლიოთეკაში. აღნიშნული ლიტერატურა უნდა გახდეს ადვილად ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ან პროგრამაში ჩართული ინსტიტუციების ბიბლიოთეკების საშუალებით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვიზიტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელმა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ ცვლილებას გეგმავენ პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში.

10. გაიწეროს სამაგისტრო პროგრამის დეტალური ბიუჯეტი, სადაც ასევე აისახება სამაგისტრო ნაშრომებისათვის გამოყოფილი თანხები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. პროგრამის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად და დასახვეწად, სასურველი იქნება პროგრამაში საერთაშორისო გარე ექსპერტ(ებ)ის ჩართვა.
2. დამსაქმებლისათვის გათვლილი კითხვარის დახვეწა. ისეთი პოტენციური დამსაქმებლების წილის გაზრდა, რომელიც უშუალოდ არ არის ჩართული პროგრამაში.
3. ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზდა. ინტერნაციონალიზაცის სტრატეგია მწირედ არის წარმოდგენილი და არ შეიცავს კონკრეტულ გეგმებს.
4. აკადემიური პერსონალის შერჩევის წესის გაუჯობესება (მაგ. h-ინდექსზე და ციტირებებზე დაყრდნობა) და საჯაროობის გაზრდა (უნივერსიტეტის ვებ-გვერდთან და გაზეთთან ერთად ვაკანსიების პოპულარული საძიებო პორტალების გამოყენება).
5. სსუ-ს ბიბლიოთეკის მოქნილი ელექტრონული საძიებო სისტემის შექმნა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. პროგრამაში მემორანდუმით ჩართული სოფლის მეუნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან არსებული სურსათის კვლევის დეპარტამენტის ლაბორატორია ქართული რეალობისათვის არის უნიკალური, შესაძლებელია ფართო დიაპაზონის ანალიზური კვლევების ჩატარება და სხვადასხვა თანამედროვე ხელსაწყოზე მუშაობის დაუფლება.
2. ილია ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი ლაბორატორიების მაღალი დონის აღჭურვილობა, რაც სამაგისტრო კვლევების სხვადასხვა მიმართულებით ჩატარების საშუალებას იძლევა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამა ახალია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიური ექსპერტიზა“ მიზნად ისახავს კვების პროდუქტების, ძვირფასი ქვების და მინერალების, ნავთობპროდუქტების, პოლიმერული და კონსტრუქციული მასალების, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ქიმიკოს ექსპერტის მომზადებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დასახელების უცხოური სამაგისტრო პროგრამების მოძიება შეუძლებელია, შინაარსობრივად ახლოს მდგომი პროგრამები (მაგ. სასამართლო ქიმია) კი ბევრად ვიწროპროფილურია. ○ პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სსუ-ს მისიასთან, გასაგებადაა ჩამოყალიბებული და დეტალურად ასახავს თუ რა კვალიფიკაცია ექნება კურსდამთავრებულს, თუმცა პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა საეჭვოს ხდის პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. ○ პროგრამის განხორციელება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზის გარდა იგეგმება თსუ-ს პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში, სოფლის მეუნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან არსებულ სურსათის კვლევის დეპარტამენტის ლაბორატორიაში და ილია ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში. სამივე უნივერსიტეტთან სსუ-ს დადებული აქვს მემორანდუმი (იხ. რეკომენდაცია 2, სასურველია 2 მემორანდუმის განახლება/რეფორმულირება) და აღნიშნული ინსტიტუციების თანამშრომლები ჩართული არიან სასწავლო პროცესში მოწვეული აკადემიური პერსონალის სახით. ოთხივე ჩართული ერთეულის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ერთობლიობა (განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლის მეუნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან არსებულ სურსათის კვლევის დეპარტამენტის ლაბორატორიის და ილია ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის კარგი მატერიალურ ტექნიკური ბაზა), საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას დასახული მიზნების უმრავლესობა სასწავლო კომპონენტების ერთობლიობის კორექტირების შემთხვევაში.

- ვინაიდან პროგრამა ახალია, პროგრამის შემუშავებისას შესწავლილ იქნა შრომის ბაზარი, ჩატარებულ იქნა შრომატევადი სამუშაო, თუმცა შერჩეული ფოკუს ჯგუფებისათვის მიწოდებული კითხვარები არ არის რელევანტური და ვერ იძლევა სწორი დასკვნების მიღების საშუალებას, შესაბამისად სწორად ვერ ასახავს ბაზრის რეალურ მოთხოვნას. ასევე ნაწილი დამსაქმებლებისა ჩართულია სწავლებაში, რამაც შეიძლება წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია.
- საგანმანათლებლო პროგრამა.
- სილაბუსები.
- ვიზიტი.
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან.
- ინტერვიუ დამსაქმებელთან.
- შრომის ბაზრის დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი უნდა გახდეს უფრო ვიწრო. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს რამდენიმე სხვადასხვა პროფილის (კვების პროდუქტების, ძვირფასი ქვების და მინერალების, ნავთობპროდუქტების, პოლიმერული და კონსტრუქციული მასალების, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ექსპერტიზის მიმართულებით) სპეციალისტის მომზადებას, რისი მიღწევაც სათანადო დონეზე შეუძლებელია ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში არასათანადო საგნობრივი და საათობრივი დატვირთვების გამო. მაგ. საგნობრივი და საათობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, შესაძლებელია კურსდამთავრებულს ჰქონდეს ადექვატური კვალიფიკაცია კვების პროდუქტების მიმართულებით, თუმცა სხვა მიმართულებებით საეჭვოა სათანადო კვალიფიკაციის მიღწევა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მიზნებს, მოიცავს ძირითად ცოდნას და უნარებს, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის აღმწერს, თუმცა პროგრამის კომპონენტების მრავალპროფილურობიდან გამომდინარე არსებობს რისკი იმისა, რომ შედეგები ვერ იქნეს მიღწეული.
- პროგრამის შემუშავებისას შესწავლილ იქნა შრომის ბაზარი, ჩატარებულ იქნა შრომატევადი სამუშაო, თუმცა შერჩეული ფოკუს ჯგუფებისათვის მიწოდებული კითხვარები არ არის რელევანტური და ვერ იძლევა სწორი დასკვნების მიღების საშუალებას, შესაბამისად დარწმუნებული ვერ ვიქნებით, რომ ასახავს ბაზრის რეალურ მოთხოვნებს.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დასადასტურებლად პროგრამას წარმოდგენილი აქვს ვრცელი მასალა, მათ შორის ინტერვიუები დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარები, თუმცა აღსანიშნავია, რომ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ერთი და იგივე კითხვარები აქვთ დაგზავნილი, ამასთან ყველა კითხვარზე ფიქსირდება ხელმოწერები, რაც ამცირებს რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციის სანდოობას და მთლიანად კვლევის ვალიდურობას.
- პროგრამას წარმოდგენილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც სამი პუნქტისგან შედგება: აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომლისთვისაც იყენებენ: 1. გაუსის ნორმალური განაწილების შკალას და აღნიშნული შკალიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გეგმავენ პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვას, თუმცა არაა დაკონკრეტებული რა პერიოდულობით აპირებენ ამ კვლევის ჩატარებას ან პროგრამის განხორციელების რომელ ეტაპზე. 2. სწავლის შედეგის ინდიკატორად მითითებულია სწავლის შედეგების რუკა, თუმცა

მოცემული სახით ეს რუკა ნაკლებად ინფორმატიულია, ვინაიდან არაა მითითებული კურსების სირთულის ხარისხი, თითოეულ შედეგზე მითითებულია დაახლოებით ათამდე სასწავლო კურსი, ხოლო როგორც ზევით აღვნიშნეთ, თავად ამ კურსების შეფასების სქემებიც დასახვეწია. 3. ინდიკატორად მოცემულია ჰოლისტიკური რუბრიკა, რომელსაც ასევე არ ახლავს განმარტება კონკრეტულად როდის, რა სიხშირით ან რა ეტაპზე გამოიყენება აღნიშნული შეფასება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან ○ შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი ○ ჩართული მხარეების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ○ სსუ სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია ○ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაციები: ○ შემცირდეს და დაკონკრეტდეს პროგრამის პროფილი ○ დაიხვეწოს შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტები ○ დაიხვეწოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები ○ გაუმჯობესდეს და დაკონკრეტდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვის მექანიზმები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, თუმცა მოთხოვნილი კვალიფიკაცია შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს გარკვეული კურსების წარმატებით დაძლევისათვის; საუბარია კურსებზე იმ შინაარსით რა შინაარსითაც ამჟამად არის წარმოდგენილი, რადგანაც ჩვენს მიერ რეკომენდებული თეორიული საფუძვლების დამატების შემთხვევაში, მიღების პირობები სრულ შესაბამისობაში იქნება სტანდარტთან. მაგ. სპექტროსკოპიული და ქრომატოგრაფიული მეთოდების საფუძვლების გარეშე ნათელი არ არის, როგორ შეიძლება მოხდეს აღნიშნული მეთოდების გამოყენების გაგება. თუ პროგრამაში გათვალისწინებულ არ იქნება რეკომენდაციები აღნიშნული მიმართულებით, მაშინ მისაღები გამოცდების საკითხების სია უნდა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს (მაგ. დაემატოს სხვადასხვა

სპექტროსკოპული და ქრომატოგრაფიული საკითხების საფუძვლები, ასევე პოლიმერების ფიზიკური ქიმიის საკითხები). საგამოცდო საკითხები პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა ვიზიტის ფარგლებში. ○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები თვითშეფასების დოკუმენტსა და პროგრამაში განსხვავდება, თვითშეფასების დოკუმენტში ნაცვლად მხოლოდ ინგლისურისა, ასევე მოცემულია გერმანული, ფრანგული ან რუსული ენები, რაც როგორც ვიზიტისას გაირკვა წარმოადგენს ტექნიკურ უზუსტობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა. ○ თვითშეფასების დოკუმენტი. ○ სილაბუსები ○ ვიზიტი.
რეკომენდაციები: ○ სასწავლო პროგრამის მოდიფიცირება რეკომენდაციების მიხედვით ან პროგრამაზე დასაშვები გამოცდის საკითხების გაფართოვება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის შინაარსი ნაწილობრივ ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებს, ვინაიდან ზოგიერთი კურსისათვის აუცილებელი კომპეტენცია არ არის მოთხოვნილი (ასევე იხ. 2.1). აღნიშნული ფაქტი გავლენას მოახდენს სხვადასხვა საკითხის სიღრმისეულ სწავლებაზე, რაც ასევე აისახება დაგეგმილ შედეგებზე. ○ სტრუქტურის ნაწილში ასევე უნდა აღინიშნოს არჩევითი კურსების მდგომარეობა - სულ 24 კრედიტს ირჩევენ ხუთი 6-კრედიტიანი და ორი 3-კრედიტიანი საგნიდან, რაც მკვეთრად ამცირებს არჩევითობის პრინციპს. ამასთანავე არჩევითი საგნები არ იძლევა საშუალებას მოხდეს ცოდნის გაღრმავება რიგი მიმართულებებით, როგორებიცაა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ანალიზი, პოლიმერული მასალების ექსპერტიზა, კვლევის ინსტრუმენტული მეთოდები და ძვირფასი ლითონების და მინერალების ექსპერტიზა. ასევე არჩევითი საგნები მოკლებულია ისეთ საგნებს, რომლებიც ხელს შეუწყობდა გარკვეული საკითხების უკეთესად ათვისებას, მაგ. მიკრობიოლოგია (ამასთან აღსანიშნავია, რომ მიკრობიოლოგიური ანალიზი შეტანილია პრაქტიკულ სამუშაოებში) ან ფიზიკური ქიმიის გაღრმავებული კურსი, რასაც ეფუძნება ფაქტიურად ყველა ანალიზური მეთოდი. ზოგადად არჩევითი საგნები ატარებს ქაოტურ ხასიათს და მათ შერჩევაში არ იკვეთება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა. ○ სილაბუსები. ○ თვითშეფასების დოკუმენტი. ○ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: ○ დაშვების წინაპირობები სრულად უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს. ○ არჩევითი საგნების დამატება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჩვენ ვთვლით, რომ პროგრამის მიხედვით დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა პროგრამის ზოგიერთი კომპონენტის შინაარსის ცვლილება ან სრულად ჩანაცვლება:

- ბუნებრივ ნაერთთა კვლევა ქვანტურ-ქიმიური მოდელირებით წარმოდგენილია, როგორც სავალდებულო საგანი, თუმცა კონტენტის მიხედვით ნათელი არ არის აღნიშნული საგნის როლი დასახული მიზნების მიღწევაში.
- ექპსერტიზის კვლევის ინსტრუმენტული მეთოდები - აღნიშნული კურსის შინაარსი სრულად არ შეესაბამება კურსის დასახელებას. აღნიშნული დასახელების კურსი უნდა მოიცავდეს ანალიზის ფიზიკურ-ქიმიურ საფუძვლებს ან თეორიული საფუძვლები ცალკე საგნის სახით წინ უნდა უსწრებდეს აღნიშნულ კურსს. აღნიშნული კურსის ფარგლებში, მისი დასახელებიდან გამომდინარე, უნდა ისწავლებოდეს ანალიზის სპექტროსკოპული მეთოდები (იწ, უი-ხილული და ბირთვულ მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპია), მას-სპექტრომეტრია, გაზური და სითხური ქრომატოგრაფია. საკითხების ჩამონათვალიდან გამომდინარე, სავარაუდოდ დადგება ECTS კრედიტების გაზრდის აუცილებლობა.

- სასმელი და მინერალური წყლების ანალიზი და ექსპერტიზა - დამატებულ უნდა იქნას იონური ქრომატოგრაფია, ამასთან აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მეთოდი გამოიყენება სოფლის მეუნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან არსებულ სურსათის კვლევის დეპარტამენტის ლაბორატორიაში. ასევე სასურველია დაემატოს ინდუქციურ-პლაზმური ოპტიკურ ემისიური სპექტროსკოპია და ინდუქციურ პლაზმური მას-სექტრომეტრია.
- კურსი კვების პროდუქტთა ანალიზი და ექსპერტიზა მოიცავს ბაქტერიოლოგიურ ანალიზს, თუმცა აღნიშნული საკითხების თეორიული საფუძვლები არ ისწავლება, აღნიშნული მასალის ხარისხიანად შესწავლისათვის სასურველია მიკრობიოლოგიის შესავლის დამატება.
- ძვირფასი ლითონების და მინერალების ქიმია, ანალიზი და ექსპერტიზა - აღნიშნული კურსი ზოგადი სახისაა, დარგობრივი კომპეტენციის მისაღებად უნდა დაემატოს ანალიზის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები, მაგ. AAS, ED-XRF, ICP-OES ან MS, GD-MS.
- პოლიმერული მასალების ქიმია და ექსპერტიზა - კურსის შესასწავლად მნიშვნელოვანია პოლიმერების ფიზიკური ქიმიის ან მასალათმცოდნეობის თეორიულ საფუძვლების საკითხების დამატება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- სილაბუსები.
- ვიზიტი.
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან.
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

კურსების მიხედვით ზემოთ განხილული დეტალური ანალიზის მიხედვით პროგრამის მოდიფიცირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის და თსუ-ს პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის პროგრამაში ჩართული ჯგუფები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით გრანტებში, მათ შორის აღსანიშნავია ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში მიმდინარე ჰორიზონტი 2020-ის გრანტი და გამოთქვავენ მზადყოფნასა წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ჩართონ აღნიშნულ კვლევებში. ზემოთ თქმულზე დაფუძნებით, ვფიქრობთ, რომ პროგრამას აქვს პოტენციალი კარგად უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება. პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას ასევე ხელს შეუწყობს ის მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რაც პროგრამაშ მემორანდუმით მონაწილე სამ ინსტიტუციას გააჩნია.
- ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც გაწერილია სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა:
  - ზოგიერთი სახის პურ-პროდუქტის ხარისხობრივი ექსპერტიზა.
  - ზოგიერთი სახის რძის პროდუქტის ექსპერტიზა.
  - ზოგიერთი სახის ალკოჰოლიანი სასმელის ექსპერტიზა.
  - ხორცის და ხორცის ნაწარმთა ექსპერტიზა.
  - უალკოჰოლო სასმელების ანალიზი და ექსპერტიზა.
  - საკონდიტრო ნაწარმთა ექსპერტიზა.
  - საშამპანურე მასალის სტანდარტიზაცია და ექსპერტიზა.
  - მშრალი და ნახევრად მშრალი ღვინომასალების ექსპერტიზა და ანალიზი.
  - სამედიცინო პოლიმერული მასალების ხარისხობრივი ექსპერტიზა.
  - ყოფაცხოვრებაში გამოყენებული სხვადასხვა პოლიმერულ ნაწარმთა ექსპერტიზა სტანდარტთან შესაბამისობაში.

○ სამომხმარებლო ბაზარზე არსებული ტრანსპორტის საწვავის ანალიზი და ექსპერტიზა. ○ ზოგიერთი სახეობის ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა. ○ მრავალფუნქციური კომპოზიციური მასალების ვარგისიანობა სტანდარტთან შესაბამისობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა. ○ მემორანდუმები. ○ ვიზიტი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები დეტალურადაა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტში. სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს სილაბუსით დაგეგმილი საკითხების დასწავლას. ○ სწავლება დაეფუძნება შემდეგ მეთოდებს: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა (ლაბორატორიული მეცადინეობა, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარული მუშაობა, საკონტროლო სამუშაოები, პროექტის პრეზენტაცია), დამოუკიდებელი სამუშაო (საპრეზენტაციო პროექტის შემუშავება, კონსულტაციები), შუალედური და დასკვნითი გამოცდები, სამაგისტრო ნაშრომი, საწარმოო პრაქტიკა. ○ სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების მეთოდები, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტის ზოგად მოთხოვნებს, თუმცა ზოგიერთი საკითხი აჩენს კითხვის ნიშანს:

- პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი გამოცდაზე დასაშვები მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც საშუალებას იძლევა სტუდენტმა არ გაიაროს სასწავლო კურსის ლაბორატორიული ნაწილი, რაც შეუძლებელს გახდის პრაქტიკული უნარების განვითარებას და შესაბამისად დაგეგმილ შედეგზე გასვლას.
- გამოცდების ქულები არ არის ჩაშლილი, შესაბამისად არ არის ბოლომდე გამჭვირვალე.
- პროგრამის შეფასების სისტემა ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, იმ დათქმით, რომ შუალედური გამოცდა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 30 ქულით და აუცილებლად წერითი ფორმით, ასევე არანაკლებ 40 ქულა ენიჭება დასკვნით გამოცდას, რომელიც ასევე წერითი ფორმით ტარდება. განსაზღვრულია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენცია - 11 ქულა და დასკვნითი გამოცდისთვის არანაკლებ 45% და არაუმეტეს 60%. შეფასების ფორმების კომპონენტებს შორის სხვა დამატებითი რეგულაციების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის განმახორციელებელის პრეროგატივაა. გამომდინარე პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და სწავლის შედეგებიდან, პროგრამის კურსდამთავრებულს აუცილებლად უნდა ქონდეს ლაბორატორიული კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების უნარი, თუმცა შეფასების არსებული სისტემა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მაგისტრის აღნიშნული კომპეტენცია ნამდვილად იქნება შეფასებული, ვინაიდარ არ არის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, წერითი ფორმის გამოცდები კი ვერ იძლევა იმის საშუალებას, გაზომილ იქნას ლაბორატორიული უნარები.

